

Nino Kvirikadze
ნინო კვირიკაძე
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

**Thomas Mann in Exile: The Phenomenon of the German Nation in Thomas Mann's Essay
„Germany and the Germans“
თომას მანი ემიგრაციაში: გერმანელი ერის ფენომენი თომას მანის ესეში
„გერმანია და გერმანელები“**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10854>

The subject of the research is Thomas Mann's essay “Germany and the Germans” (“Deutschland und die Deutschen”), written by him in 1945 – during his emigration to the United States. The purpose of this work is to introduce this essay into the modern literary-critical discourse. The essay “Germany and the Germans” is devoted to identifying the archetype of the German nation in the synthesis of historical time, philosophical, socio-political searches up to the events of the national catastrophe – the war of 1939-1945. The stereotype of German thinking is derived by the author not so much by critical as by artistic vision.

Keywords: Thomas Mann, essay “Germany and the Germans”, phenomenon of the German nation, deideologization, comprehensive approach

საკვანძო სიტყვები: თომას მანი, „გერმანია და გერმანელები“, გერმანელი ერის ფენომენი, დეიდოლოგიზაცია, კომპლექსური მიდგომა

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს თომას მანის ესე „გერმანია და გერმანელები“ („Deutschland und die Deutschen“), რომელიც მწერალმა 1945 წელს დაწერა – ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრაციაში ყოფნის დროს. თ.მანის პუბლიცისტიკის დიდძალი ნაწილი, ისევე როგორც, სხვა-თა შორის, მისი მხატვრული პროზისა, ემიგრაციაშია შექმნილი. საერთოდ კი თომას მანი დიდწილად „ემიგრანტული“ მწერალია და ეს გარემოება ნამდვილად გასათვალისწინებელია.

კვლევის მიზანია დასახელებული ესე შეყვანა თანამედროვე ლიტერატურულ-კრიტიკულ დისკურსში, რაც დიდწილად გარკვეულ სირთულეებს აწყდება. ერთი მხრივ, არსებობს მოსაზრებები, რომ კლასიკური ლიტერატურა საკმარისად არის შესწავლილი და კრიტიკოსებისთვის საინტერესოა მხოლოდ როგორც ლიტერატურის ისტორიის ძეგლი. შესაძლებელია სხვა მიდგომაც, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ: კლასიკური გერმანული ლიტერატურის კლასიკოსის თომას მანის პატარა ესეც კი დღევანდელ დროზეა პროცირებული და ხელს უწყობს გერმანელი ერის საზღვრების, ისტორიის, ფენომენის ჩამოყალიბებას; ესოდენ სიმბოლურია დასახელებული ნაწარმოების „გერმანია და გერმანელები“ გამოჩენა გერმანიის ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს მომენტში – ეს არის 1945 წელი.

თომას მანი, მე-20 საუკუნის პროზის ერთ-ერთი კლასიკოსი, დღესაც არა მხოლოდ ინარჩუნებს აკადემიურ პრესტიჟს, არამედ კვლავაც იპყრობს მეცნიერებისა და ასევე რიგითი მკითხველების ყურადღებას. თ.მანი მონაწილე იყო ევროპისა და მსოფლიოს სულიერ ასპარეზზე მიმდინარე იდეების ბრძოლისა. მისი შეხედულებათა ევოლუცია მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის რეალობაზე აისახა მის პუბლიცისტიკასა და ესეებში, რომლებიც სრულიად დამოუკიდებელ მნიშვნელობას ინარჩუნებენ მისი მხატვრული მიღწევების ფონზე.

თომას მანის ევოლუცია თავისთავად ყურადსაღებია. პირველი მსოფლიო ომის დროს მან დაიცვა კონსერვატიული, ეროვნული გერმანული ღირებულებები, შემდეგ კი მწერალი სწრაფად გარდაიქმნა დემოკრატიის, ჰუმანიზმისა და მშვიდობის მგზნებარე დამცველად.

თომას მანი ახალი ბარბაროსობის მოსალოდნელ საფრთხეზე ჯერ კიდევ 1920-იანი წლების დასაწყისიდან ფიქრობდა, დემოკრატიაზე მისი ერთგვარი უეცარი გადასვლის დროიდან. თავის ნაშრომებში „გერმანიის რესპუბლიკის შესახებ“, „გერმანული რესპუბლიკის სული და არსი“ და „გოეთე და ტოლსტოი“ მწერალი შემფოთებით საუბრობდა XIX საუკუნის განმანათლებლურ-ჰუმანისტური კონცეფციების აშკარა დაცემაზე და იმაზე, თუ როგორ იცვლებოდა თავისუფლების, მორალის, ავტონომიისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ღირებულებები ერთობის, დისციპლინის, დაქვემდებარების, ე.ი. ტერორის, იდეებით.

გერმანიიდან წასვლის შემდეგ თომას მანი ყურადღებით აკვირდებოდა მის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ხანძარი რაიხსტაგში თანაბარი წარმატებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო როგორც ნაცისტების, ასევე კომუნისტების მიერ. შემდგომში მანი არაერთხელ უბრუნდებოდა ჰიტლერიზმის წარმატების მიზეზებს, განსაკუთრებით თავის მოხსენებებში „გერმანია და გერმანელები“ (1945), სადაც ის ცდილობდა არა მხოლოდ ამერიკელი აუდიტორიისათვის მიეწოდებინა ნაციზმის სულიერი წარმოშობისა და წინაპირობების შესახებ საკუთარი გაგება, არამედ „გერმანულობის“ მოდელის შექმნასაც, რომელსაც გამარჯვებულები თავიანთ რისხვასა და წყალობას დაუკავშირებდნენ. თომას მანის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრაციის პერიოდში წარმოთქმული სიტყვები – „Wo ich bin, da ist Deutschland“ – ნათლად აფიქსირებენ დიდი მწერლის პოლიტიკურ პოზიციას. ამას ამტკიცებენ აგრეთვე მისი ნაწარმოებები, დღიურები, გამონათქვამები, რადიოგადაცემები მეორე მსოფლიო ომის დროს (Hansen, 1984, გვ. 89-91).

თომას მანის ესე „გერმანია და გერმანელები“ არაერთხელ გამხდარა ლიტერატურული ანალიზის საგანი (იხ. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი: E. Heller, G. B. Fischer, W. Jens, K. Happprecht, E. Bahr, Th. Stammen, H. Kurzke). ესესადმი ამჟამინდელი სამეცნიერო ინტერესი გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ გათვალისწინებულია გერმანელთა თანამედროვე, დეპოლიტიზებული მიდგომა საკუთარი ეროვნული იდეისადმი და წინ წამოწეულია პოლიცენტრიზმის ლოზუნგი. ასეთი გერმანიის წარმოქმნა იწინასწარმეტყველა სწორედ თომას მანმა. მწერალმა გერმანული ტოტალიტარიზმის გენეზისი ესეს დაწერამდე დიდი ხნით ადრე გამოკვეტა. ეს საკითხი განხილულია მის რომანში „ბუდენბროკები“: ბიურგერული საშუალო კლასის, იგივე გერმანული სახელმწიფოებრიობის საფუძვლის, კრაზი და ჰუმანიზმის იდეოლოგიის გადახედვა წინ უძღოდა ფაშიზმის წარმოშობას.

მწერალი არ მიჯნავს საკუთარ თავს ეროვნული ტიპის აზროვნებისგან და წერს ნიცშეს ფენომენის გავლენის შესახებ გერმანული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, რომელიც გერმანული ტოტალიტარიზმის იდეოლოგიის რანგში იყო აყვანილი.

პარადოქსი შესავალშივეა განცხადებული სიტყვებით: „[...] wie ich hier vor Ihnen stehe, [...] amerikanischer Bürger seit einigen Monaten schon [...]“ (Mann, 1955, გვ. 554) („[...] მე უკვე რამდენიმე თვეა ამერიკის მოქალაქე ვარ [...]“). ესეს მთელი სტრუქტურა კი, მისი მთელი მნიშვნელობა უარყოფს ამ პოსტულატს. თ. მანი იყო და რჩება გერმანელად; ტექსტის ბოლო სტრიქონი ეწინააღმდეგება პირველს: „Der Gnade, deren Deutschland so dringend bedarf, bedürfen wir alle“ (Mann, 1955, გვ. 576) („წყალობა, რომელიც გერმანიას ახლა ასე სასწრაფოდ სჭირდება, არის ის, რაც ყველას გვჭირდება“). ამ პოლარიზებულ არგუმენტებს შორის დგას თავად ავტორი – თავისი გერმანული ვნებიანობით, სიყალბისადმი შეუწყნარებლობით, გრძნობების მაქსიმალიზმით და გერმანული ცხოვრების საფუძვლების კარგი ცოდნით მის ყველანაირ გამოვლინებაში.

საერთოდ, თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის დეიდეოლოგიზაცია შესაძლებელს ხდის თომას მანის კრიტიკული მემკვიდრეობის განხილვას ლიტერატურებისა და კულტურების თანამედროვე დიალოგის კონტექსტში. ესე „გერმანია და გერმანელები“ ეძღვნება გერმანელი ერის არქეტიპის იდენტიფიცირებას ისტორიული დროის, ფილოსოფიური, სოციალურ-პოლიტიკური მიზეზების სინთეზში – ეროვნული კატასტროფის (1939-1945 წლების ომის მოვლენების) ჩათვლით.

გერმანული აზროვნების სტერეოტიპი ავტორს არა იმდენად კრიტიკული, რამდენადაც მხატვრული ხედვით აქვს მიღებული. თომას მანის ხასიათის ეს თვისება თავის დროზე აღნიშნა კრიტიკოსმა ნ. ვილმონტმა, რომელმაც მისი კრიტიკული მემკვიდრეობა ნიშანდობლივი ფრაზით დაახასიათა: „მხატვარი, როგორც კრიტიკოსი“ (Вильмонт, 1961, გვ. 621). საკითხის წინააღმდეგობრივი გაგებისა და განსახილველი ნაშრომის შესაბამისი კრიტიკული შეფასების მიუხედავად, აუცილებელია აღინიშნოს ესეი საპუბლიცისტური სტილი და ავტორის მონდომება და გაბედულება, თვალყური გაადევნოს გერმანული არქექტივის გენეზისის მისი წარმოშობიდან თანამედროვეობამდე. გერმანელი ერის თავს დატყუილ საშინელ კატასტროფას თომას მანი დეტერმინირებულ შედეგად მიიჩნევს, რომელმაც მსოფლიო ლიტერატურული განვითარებისა და მთლიანად კულტურის ახალი ხედვა განსაზღვრა. გერმანელი ერის ფსიქოლოგიის წინააღმდეგობრივ ბუნებას, მისი აზროვნებისა და ქცევის განსაკუთრებულ ფენომენს ის განსაზღვრავს სხვა ეროვნული კულტურებისადმი დიფერენცირებული მიდგომის თვალსაზრისით. ესეი გაგების ისტორიული და კულტუროლოგიური მიდგომა გულისხმობს კვლევისადმი კომპლექსურ მიდგომას, ანუ ნაწარმოების სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და კულტუროლოგიური თვალსაზრისით განხილვას, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ავტორის შემოქმედებითი ქცევა და განვსაზღვროთ მისი აზროვნების ახალი წახნაგები. მაგალითად, ნაწარმოების კულტუროლოგიური ასპექტი ავლენს ავტორის დამოკიდებულებას მუსიკისადმი და მის დემონურ, ნეგატიურ გავლენას გერმანულ ხასიათზე. ამ მხრივ, თ. მანის სტერეოტიპი ერის ფენომენის შესახებ ეხმიანება ლევ ტოლსტოის ცნობილ თეზისს, რომელიც მან გამოთქვა მის სტატიაში „ხელოვნების შესახებ“ – მუსიკის უარყოფითი გავლენის შესახებ ადამიანზე. თ. მანის განცხადება ლევ ტოლსტოის გავლენის შესახებ მის შემოქმედებაზე კარგად არის ცნობილი. მუსიკის ისტორიაში ექსკურსი ნაწილობრივ ზუსტია, როდესაც საქმე მუსიკალური ჟანრების, სტილებისა და ინსტრუმენტების დახასიათებას ეხება. კულტუროლოგიური ასპექტი საშუალებას გვაძლევს შევავსოთ ავტორის მიდგომა გერმანული „ფაუსტიანას“ მიმართ ლიტერატურული პროცესის ამ ისტორიულ ეტაპზე.

რაზეც არ უნდა წერდეს თომას მანი, თავის აზრებს ის უკავშირებს როგორც წარსულ მხატვრულ გამოცდილებას, ასევე მომავალს. მაგალითად, გერმანული სამყარო – მაკროკოსმოსი – აღიქმება მიკროკოსმოსის – ქალაქ ლიუბეკის – პრიზმით. ლიუბეკი კი გერმანიის პატარა მინიატურაა, თავისი ჩამორჩენილობით, თავისი დამყაყბულობით, თავისი ბიურგერობით და ამ ბიურგერობის დაცემით. ლიუბეკი გერმანიას ეკუთვნის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გერმანიის ტრაგედია – 1945 წელი – სწორედ მაშინ, ბიურგერობის დაცემითა და დაღუპვით, დაიწყო. ეს ყოვლისმომცველი უმსგავსობა, ეს დაპირისპირება უხამსობასთან, რომელსაც ვერ მოერევი, – ეს ყველაფერი ლიუბეკიდან მომდინარეობს. პროტესტანტული ლიუბეკი, როგორც ამას თ. მანი ხედავს, ღრმა გოთური შუა საუკუნეების კვალს ატარებს, მაგრამ ეს გამოიხატება არა მხოლოდ ქალაქის პანორამაში თავისი კოშკებითა და შილებით, არა მხოლოდ თვალწარმტაცი ბურგერული სახლებით, არამედ იმაშიც, რომ მეთხუთმეტე საუკუნის ბოლო ათწლეულებში მცხოვრები ადამიანების სულიერი იერსახის რაღაც ნაწილი თავად ქალაქის ატმოსფეროში დარჩა – ეს არის „*Hysterie des ausgehenden Mittelalters*“ (Mann, 1955, გვ. 558) („წარმავალი შუა საუკუნეების ისტერია“). ბუნებრივია, ასეთი დასკვნის გაკეთებას მწერალს საშუალებას აძლევს სწორედ ის, რომ თავისი ცხოვრების საწყისი დრო მან ამ ქალაქში გაატარა და ის შიგნიდან შეიგრძნო.

თომას მანი ცდილობს მკითხველს აგრძნობინოს გერმანულ ეროვნულ ხასიათსა და დემონიზმს შორის არსებული იდუმალი კავშირი; ეს კავშირი, როგორც თავად მწერალი აღიარებს, მან საკუთარი შინაგანი გამოცდილებით შეიცნო. აღნიშნავს რა, რომ ეშმაკი (ლუთერის ეშმაკი, „ფაუსტის“ ეშმაკი) მას გამორჩეულად გერმანულ პერსონაჟად ეჩვენება, მწერალი თვლის, რომ დადგა დრო, გერმანიას სწორედ ამ ასპექტით შევხედოთ – ანუ გმირის-მარტოხელა მოაზროვნის (ფაუსტის) ასპექტით, რომელიც, მთელი სამყაროს დატკობისა და მისი დაუფლების სურვილიდან გამომდინარე, თავის სულს ეშმაკს ანდობს. აქ თ. მანი გერმანული ეროვნული ხასიათის საკითხს მუსიკის კონტექსტში განიხილავს და შეცდომად მიიჩნევს, რომ ლეგენდა და პოემა ფაუსტს მუსიკასთან არ აკავშირებენ. ფაუსტი, თ. მანის აზრით, აუცილებლად მუსიკალური უნდა იყოს, მუსიკოსი უნდა

იყოს, რადგან „*Die Musik ist dämonisches Gebiet [...] Sie ist christliche Kunst mit negativem Vorzeichen. Sie ist [...] die passionierteste der Künste, abstrakt und mystisch*“ (Mann, 1955, გვ. 559) („მუსიკა დემონური სფეროა [...] ის ქრისტიანული ხელოვნებაა უარყოფითი ნიშნით. ის არის [...] ყველაზე ვნებიანი ხელოვნება, აბსტრაქტული და მისტიკური“). ამგვარად, ფაუსტი, როგორც გერმანული სულის განსახიერება, მუსიკალური უნდა იყოს, რადგან გერმანელის ურთიერთობა სამყაროსთან აბსტრაქტულია, ანუ მუსიკალური. გერმანული სულის „სიღრმე“, თ. მანის აზრით, მის მუსიკალურობაშია, „*იმაში, რასაც მის ინტროსპექციას უწოდებენ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანური ენერჯის გაყოფაში აბსტრაქტულ-სპეკულაციურ და სოციალურ-პოლიტიკურ ელემენტებად, სადაც პირველი მთლიანად დომინირებს მეორეზე*“ (Mann, 1955, გვ. 559). თ.მანი გერმანული სულის მუსიკალურობას მარტინ ლუთერის მონუმენტურ ფიგურას უკავშირებს, რომელიც გერმანულ სულს განსახიერებდა და არაჩვეულებრივად მუსიკალური იყო. თ.მანი, მიუხედავად იმისა, რომ არ უარყოფს ლუთერის წვლილს გერმანიის განვითარების ისტორიაში, ამავე დროს აკრიტიკებს მას. მწერალი აღიარებს, რომ ლუთერი დიდი და უაღრესად გერმანელი ადამიანი იყო, რომ მან ქრისტიანობა გადაარჩინა, რადგანაც აღიქვამდა მას თავისი გულუბრყვილო, გლეხური სერიოზულობით იმ ეპოქაში, როდესაც მას უკვე აღარსად სერიოზულად არ აღიქვამდნენ. თუმცა თომას მანი (რომელიც გერმანიის მოსახლეობის ლუთერანულ ნაწილს მიეკუთვნებოდა) „*ისტორიული აზროვნების დიდი სიცხადით მიუთითებს რეფორმაციის, მარტინ ლუთერისა და ლუთერანული ეკლესიის მიერ გერმანულ ცხოვრებაში შესრულებულ დამღუპველ როლზე*“ (Вильмонт, 1961, გვ. 625). „*მარტინ ლუთერი, – წერს თ. მანი, – თავისუფლებისთვის მებრძოლი იყო, მაგრამ უაღრესად გერმანული გზით, რადგან მას არაფერი ესმოდა თავისუფლების შესახებ. აქ ვგულისხმობ არა ქრისტიანის თავისუფლებას, არამედ მოქალაქის პოლიტიკურ თავისუფლებას*“ (Mann, 1955, გვ. 562). თ. მანი არ იწონებს მარტინ ლუთერის ნეგატიურ დამოკიდებულებას ხალხის მიმართ, არ იწონებს მის აშკარა სიძულვილს „*გლებთა ომის მიმართ, რომლის გამარჯვებაც, მოძრაობის ევანგელური ხასიათის მიუხედავად, გერმანიის ისტორიას სრულიად განსხვავებულ, უფრო ბედნიერ შემობრუნებას მისცემდა*“ (Mann, 1955, გვ. 562).

ნ.ვილმონტის აზრით, ლუთერი, ამ გაგებით, რომელიც ქადაგებდა სინდისის შეუზღუდავ თავისუფლებას, ამავედროულად იყო „*რეაქციული ხელისუფლების მფარველობის ქვეშ მყოფი ცნობილი გერმანული შინაგანი თავისუფლებისა და, შესაბამისად, კანონმორჩილი, პირქუში რეაქციული-მეშჩანური დემოკრატიის სულისკვეთების საშიში გამტარებელი*“ (Вильмонт, 1961, გვ. 656), რომლის მხარდაჭერის გარეშეც, რა თქმა უნდა, ვერც ვილჰელმ II და ვერც ჰიტლერი ვერ იოცნებებდნენ თავიანთ ექსპანსიონისტურ პოლიტიკაზე.

გერმანიის შორეული და უახლოესი წარსულის ანალიზისა და დაუნდობელი კრიტიკის დროს თ. მანი აღნიშნავს, რომ გერმანიას არასდროს განუცდია რევოლუცია და გერმანიამ არასდროს ისწავლა „ერის“ ცნების „თავისუფლების“ ცნებასთან დაკავშირება. თავად „ერის“ ცნებამ, რომელიც ისტორიულად ემთხვევა „თავისუფლების“ ცნებას, გერმანიაში ვერასდროს მოიპოვა ადგილი. თ. მანის აზრით, გერმანელების ერად მიჩნევა შეცდომაა, მაშინაც კი, თუ ისინიც და სხვებიც ამ აზრს იზიარებენ (Mann, 1955, გვ. 565). მწერალი აღნიშნავს, რომ გერმანულ ხასიათს პოლიტიკა ეზიზღება, არ შეუძლია მისი მიღება და, შესაბამისად, გერმანელი ხალხის მასებში პოლიტიკური ბრძოლის ძლიერი ტრადიციები არ განვითარებულა, მწერალი ამ პოსტულატის ისტორიულ გამოხატულებას იმაში ხედავს, რომ ყველა გერმანული რევოლუცია წარუმატებელი იყო: „*1525 წლის აჯანყება, 1813 წლის მოძრაობა, 1848 წლის რევოლუცია, რომელმაც გერმანელი ბიურგერების პოლიტიკური უმწეობის გამო მარცხი განიცადა და, ბოლოს, 1918 წლის რევოლუცია*“ (Mann, 1955, გვ. 566). რადგან აღმოჩნდა, რომ ევროპისთვის ჩვეული გაერთიანების ეროვნულ-დემოკრატიული გზა ვერ გახდებოდა გერმანული გზა (ბისმარკის იმპერიას არაფერი ჰქონდა საერთო დემოკრატიათთან და, შესაბამისად, ერთან ამ სიტყვის დემოკრატიული გაგებით), გერმანიის გაერთიანება ზემოდან, ანტიდემოკრატიული გზით განხორციელდა და ამან, მწერლის აზრით, განსაზღვრა გერმანიის ისტორიის შემდგომი მიმდინარეობა: „*Durch Kriege entstanden, konnte das unheilige Deutsche Reich preußischer Nation immer nur ein Kriegsreich sein. Als solches hat es, ein Pfahl im Fleische der Welt,*

gelebt, und als solches geht es zugrunde“ (Mann, 1955, გვ. 572). („ომებში დაბადებული, პრუსიული ერის უღმერთო გერმანიის იმპერია მხოლოდ მილიტარისტულ სახელმწიფოდ შეიძლება ყოფილიყო. ასე ცხოვრობდა ის, ნამსხვრევად იჯდა კაცობრიობის სხეულში და ასე კვდება ახლა“).

„ევროპოცენტრიზმის“ პრობლემასთან დაკავშირებით ავტორის ფიქრები გოეთესაკენა მიმართული, თუ როგორ ესმოდა მას „ევროპეიზაცია“. თ. მანი გოეთეს ფენომენს ხედავდა იმაში, რომ ის სიხარულით აღიქვამდა ყველაფერს ფართოსა და დიდს: ეროვნული შეზღუდულობის დაძლევა, მსოფლიო გერმანულობის იდეასა და მსოფლიო ლიტერატურას (Mann, 1955, გვ. 566). როდესაც მწერალი ლაპარაკობს სახალხო ძალასა და ცივილიზაციას შორის არსებულ დაპირისპირებაზე, ასევე ანტითეზაზე „ლუთერი ეს არის დახვეწილი პედანტი ერაზმუსი“, ის ხაზს უსვამს, რომ გოეთემ გადალახა ეს წინააღმდეგობანი და შეარიგა ისინი. გოეთე, თ. მანის თქმით, „განასახიერებს ცივილიზებულ ძალას, სახალხო ძალას, ურბანულ დემონიზმს, სულსა და ხორცს ერთდროულად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელოვნებას... მასთან ერთად გერმანიამ უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა წინ ადამიანური კულტურის სფეროში [...]“ (Mann, 1955, გვ. 561). თ. მანი აღნიშნავს ამ დიდი ადამიანის მარტოობას იმდროინდელ გერმანიაში, რომელიც განთავისუფლების პატრიოტული აღმავლობით იყო აღფრთოვანებული; ის აღნიშნავს მის ნეგატიურ დამოკიდებულებას ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის მიმართ – მოძრაობა, რომელშიც ის ხედავდა პოპულისტურ-ბარბაროსულ ელემენტს, რაც მასში ზიზღის გრძნობას იწვევდა; ის ასევე აღნიშნავს მის ნეგატიურ პოზიციას პოლიტიკური პროტესტანტიზმის, ნაძირალა პოპულისტური დემოკრატიის მიმართ (Mann, 1955, გვ. 566). გოეთე, რომლისთვისაც გადამწყვეტი, დომინანტური ცნებები კულტურა და ბარბაროსობა იყო, ბედის ნებით ეკუთვნოდა „ხალხს, რომლისთვისაც თავისუფლების იდეა ბარბაროსობად იქცევა, რადგან ის მიმართულია მხოლოდ გარე სამყაროს, ევროპის, კულტურის წინააღმდეგ“ (Mann, 1955, გვ. 566). დიდი მოაზროვნის პოლიტიკური პროტესტანტიზმის მიმართ ზემოხსენებულ ნეგატიურ დამოკიდებულებაზე საუბრისას, თ. მანი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ეს პოზიცია მთელი ერის, განსაკუთრებით კი მისი იდეოლოგიური ლიდერების, გერმანული ბიურგერობის მიერ იქნა განმარტებული, როგორც ლუთერისეული სულიერი და პოლიტიკური თავისუფლების ცნებებს შორის განსხვავების დადასტურება და გაღრმავება. ამან ხელი შეუშალა პოლიტიკური ელემენტის კულტურის გერმანული კონცეფციის განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბებას. აქ თ. მანი არსებითად აყენებს დიდი ადამიანების გავლენის პრობლემას ერის თვითშეგნებაზე, რამდენად განსაზღვრავენ ისინი ეროვნულ ხასიათს, ახდენენ მასზე ჩამოყალიბების გავლენას თავიანთი მაგალითით და რამდენად განასახიერებენ თავად მას (Mann, 1955, გვ. 566). ის ამ პრობლემას აყენებს, მაგრამ არ წყვეტს მას. მსოფლიო გერმანულობის იდეის საკითხში თ. მანი ეთანხმება გოეთეს:

„Als Amerikaner bin ich Weltbürger, – was von Natur der Deutsche ist, ungeachtet der Welt-scheu, die zugleich damit sein Teil ist, seiner Schüchternheit vor der Welt, von der schwer zu sagen ist, ob sie eigentlich auf Dünkel oder auf angeborenem Provinzialismus, einem völkergesellschaftlichen Minderwertigkeitsbewußtsein beruht. Wahrscheinlich auf beidem“ (Mann, 1955, გვ. 555). („როგორც ამერიკელი, მე ვარ მსოფლიოს მოქალაქე, რასაც, თავისი ბუნებით, ყველა გერმანელი წარმოადგენს, მიუხედავად მისთვის დამახასიათებელი არასოციალურობისა, სამყაროს წინაშე მორცხვობისა, რისი მიზეზებიც უნდა ვეძებოთ ან მის ამპარტავან თვითშეგნებაში, ან მის თანდაყოლილ პროვინციალიზმში – ერთგვარ ეროვნულ-სოციალურ არასრულფასოვნების კომპლექსში და, შესაძლოა, ორივეში ერთად“).

თომას მანი გერმანულ რომანტიზმს, რომელსაც ის ასევე გერმანული ერის კონტექსტში იკვლევს, გერმანული თვითანალიზის („Innerlichkeit“) გამოვლინებად – გერმანული ბუნების უღამაზეს თვისებად – მიიჩნევს. მწერლის აზრით, გერმანული რომანტიკული კონტრეველუციის წვლილი სულიერი ცხოვრების ისტორიაში ჭეშმარიტად ფასდაუდებელია; გერმანულმა რომანტიზმმა, როგორც გერმანული სულისკვეთების გამოხატულებამ, გერმანულმა რომანტიკულმა აჯანყებამ, ევროპულ აზროვნებას ღრმა, გამამხნეველი იმპულსი მისცა, თუმცა თავად მან ევროპული

დემოკრატიიდან რაიმე სასარგებლო ჭემმარიტება არ მიიღო. რომანტიკული გერმანია მსოფლიოს წინაშე წარსდგა, როგორც ძლიერი სახელმწიფო, რომელიც რეალისტურ პოლიტიკას ატარებდა, როგორც ბისმარკიზმის ციტადელი, როგორც ძალა, რომელმაც შექმნა, როგორც ჩანს, ურყევად ჯანსაღი და ძლიერი გერმანული იმპერია. თუმცა, როგორც ავტორი სინანულით აღნიშნავს, გერმანული რომანტიზმი (der deutsche Romantismus), თავისი ბუნების დუალურობის გამო (ერთი მხრივ, ვიტალიზმის ამადლება აბსტრაქტულ-მორალურზე, მეორე მხრივ – სიკვდილთან ნათესაობა), თავის პირვანდელ სამშობლოში ბრბოს სავალალო დონემდე, ჰიტლერის დონემდე დაეცა და „*brach [...] aus in hysterische Barbarei, in einem Rausch und Krampf von Überheblichkeit und Verbrechen, der nun in der nationale Katastrophe, einem physischen Kollaps ohnegleichen, sein schauerliches Ende findet*“ (Mann, 1955, გვ. 574) („ისტერიულ ბარბაროზობად, რასიზმის სიგიჟედ და მკვლევლობის წყურვილად გადაიქცა და ახლა თავის საშინელ დასასრულს ეროვნულ კატასტროფაში, უპრეცედენტო ვიზიკურ და ფსიქიკურ კოლაფსში პოულობს“).

თ. მანი კრიტიკულად აფასებს თანამედროვე გონებაგანწყობილებას გერმანიაში. ის ნეგატიურად ახასიათებს იმ ფაქტს, რომ გერმანელების თანდაყოლილი კოსმოპოლიტიზმი, როგორც უძველესი ზეეროვნული სახელმწიფოს სულიერი ატრიბუტი, ევროპული ჰეგემონიისა და, უფრო მეტიც, მსოფლიო ბატონობისაკენ მისწრაფებად გადაიქცა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გერმანელების ხელში სიკეთე ბოროტებად გარდაიქმნა, კარგი და კეთილი კი ცუდი გახდა. მწერალი სინანულით აღნიშნავს, რომ ეს კოსმოპოლიტიზმი მის პირდაპირ საპირისპიროდ – თავხედურ და საშიშ ნაციონალიზმად და იმპერიალიზმად გარდაიქმნა. გერმანელებმა ნაციონალიზმის ნაცვლად უფრო თანამედროვე რამ ჩასვეს: რასიზმის ლოზუნგი, რომელმაც ისინი საშინელი სისასტიკის გზაზე გაიყოლია და მთელი ქვეყანა გაუგონარი კატასტროფების მორევში ჩაითრია (Mann, 1955, გვ. 569). ავტორი, იკვლევს რა გერმანული ერის ფენომენს და ამით, მისი საკუთარი სიტყვებით რომ ვთქვათ, გერმანული „თვითჩაღრმავებულობის“ ისტორიას წარმოაჩენს, ფაქტობრივად ეწინააღმდეგება გერმანიის მექანიკურ დაყოფას „კეთილ“ და „ბოროტ“ ნაწილებად. ის ამტკიცებს, რომ გერმანული ფაშიზმი ღრმა ისტორიული მიზეზებითაა წარმოშობილი და, შესაბამისად, მისი სრული აღმოფხვრა ადვილი საქმე არ არის.

„Das böse Deutschland, das ist das fehlgegangene gute, das gute im Unglück, in Schuld und Untergang. [...] Nichts von dem, was ich Ihnen über Deutschland zu sagen oder flüchtig anzudeuten versuchte, kam aus fremdem, kühlem, unbeteiligtem Wissen: ich habe es auch in mir, ich habe es alles am eigenen Leibe erfahren“ (Mann, 1955, გვ. 574) („ბოროტი გერმანია არის კეთილი, რომელიც არასწორ გზას დაადგა, უსიამოვნებებში ჩავარდა, დანაშაულებში ჩაეფლო და ახლა კატასტროფის წინაშე დგას [...] იმაში, რაც გერმანიის შესახებ მოგიყვებით, ან თუნდაც მოკლედ ვცადე ახსნა – ამ ყველაფერში არაფერია მეცნიერული სიცივის, გაუცხოებისა ან მიუკერძოებლობისაგან; ეს ყველაფერი ჩემში ცოცხლობს, მე თვითონ განვიცადე ეს ყველაფერი“).

დასასრულ, თ. მანი იმედს გამოთქვამს, რომ ნაციზმის აღმოფხვრა გზას გაუხსნის მსოფლიო მასშტაბით განხორციელებულ სოციალურ რეფორმას (გლობალური ეკონომიკა, პოლიტიკური საზღვრების წაშლა), რაც ხელს შეუწყობს გერმანიის შემდგომ განვითარებას, რადგან, მისი აზრით, „*all dieser über die bürgerliche Demokratie hinausgehende soziale Humanismus*“ (Mann, 1955, გვ. 576) („მთელი ეს სოციალური ჰუმანიზმი, რომელიც ბიურგერული დემოკრატიის საზღვრებს სცილდება“), არ შეიძლება იყოს „*dem deutschen Wesen fremd und zuwider sein*“ (Mann, 1955, გვ. 576) („გერმანული ბუნებისათვის უცხო ან მტრულად განწყობილი მის მიმართ“).

როგორც ვხედავთ, თომას მანი კრიტიკოსის პოზიციაში წინააღმდეგობრივია; როგორც მხატვარი, მას გააჩნია პერსპექტიული, შორსმომავალი ხედვა და აზროვნება; ის არის წინასწარმეტყველი გერმანული კატასტროფისა, იმ ხალხის ტანჯვისა, რომლის თავისუფლების იდეა მიმართულია გარე სამყაროს, ევროპისა და კულტურის წინააღმდეგ. ამით მწერალი ფუნდამენტურად, ძირშივე უარყოფდა ნაციონალიზმს, რომლის ძირითადი კრედო – გარე მტრის ძიებაა, თავისი არსით კი მას

შეიძლება მოჰყვეს საკუთარი კულტურის განადგურება. თომას მანმა შეძლო დაესვა საკითხები, რომლებიც აქტუალური იყო ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისთვის ისტორიის გარდამტეხ მომენტში, კითხვები, რომლებიც იყო არა მხოლოდ ლიტერატურული ხასიათისა. ავტორის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ დასახული, გამოკვეთილი პრობლემების სპექტრი განისაზღვრება, როგორც კრიზისის დამლევის ამოცანა, როგორც გერმანიის კრიზისიდან გამოსვლის ამოცანა. ამ პრობლემის შემადგენელი კომპონენტები გერმანულ ცნობიერებაში უკვე მწერლის გარდაცვალების შემდეგ დამკვიდრდა – ეს იყო პოლიცენტრიზმის თეზისის წინ წამოწევის საკითხი, სხვადასხვა კულტურებსა და ლიტერატურებს შორის დიალოგის ჩატარების შესაძლებლობის საკითხი, სხვადასხვა კულტურებსა და ლიტერატურებს შორის დიალოგის შესაძლებლობის საკითხი, რაც სიმბოლურად გერმანიის გაერთიანებისას შემდეგ ჩამოყალიბდა.

გამოყენებული ლიტერატურა / References:

- Bahr, E. (2003). Thomas Manns Vortrag „Deutschland und die Deutschen“. In: Braun, M.; Lehmen, B. (Hrsg.) „Thomas Mann: Deutscher, Europäer, Weltbürger“. Frankfurt am Main: Fischer.
- Fischer, G.B. (1977). Bewegte Zeiten mit Thomas Mann. In: „Thomas Mann 1875-1975, Vorträge in München-Zürich-Lübeck“. Frankfurt am Main: Fischer.
- Hansen, V. (1984). *Thomas Mann*. Stuttgart: Metzler.
- Happrecht, K. (1995). Thomas Mann. Eine Biographie. Reinbeck bei Hamburg: Rowohlt.
- Heller, E. (1975). Thomas Mann. Der ironische Deutsche. Frankfurt am Main: Fischer.
- Jens, W. (1977). Der letzte Bürger. In: Thomas Mann 1875-1975, Vorträge in München-Zürich-Lübeck“. Frankfurt am Main: Fischer.
- Kurzke, H. (2005). Politische Essaistik. In: Thomas Mann Handbuch. Frankfurt am Main: Fischer.
- Mann, Th. (1955). *Deutschland und die Deutschen*. In: Gesammelte Werke. Zwölfter Band. Berlin: Aufbau-Verlag.
- Stammen, Th. (2005). Politische Welt. In: Thomas Mann Handbuch. Frankfurt am Main: Fischer.